ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თეა ჭეიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი
სულხან ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ა.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ი. ზ /სიითი №

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.08.2016

საჩივრის რეგისტრაციის №069/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ი. პ.-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. პ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის ოქტომბრიდან მის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა საზოგადოებრივი ადვოკატი - ი. პ..

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ი. პ.-ს მის საქმეზე რეაგირება არ მოუხდენია, რაც დაკავების პირველივე წუთებიდან, გამოძიების ეტაპზე ეხებოდა საჩივრის ავტორზე მუქარისა და ზეწოლის ფაქტებს. ადვოკატმა ი. პ.-მა საჩივრის ავტორს მის მიერ დაწერილი შუამდგომლობა მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით, უკან დაუბრუნა და უთხრა, რომ აზრი არ ჰქონდა ამ ფაქტზე ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ მართალი იყო - მაინც არავინ დაუჯერებდა.

1.3 2016 წლის ნოემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ადვოკატ ი. ზ-ის ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, ლ. ა.-ს ინტერესების

დაცვის მიზნით, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის, პირველ ინსტანციაში საქმის მიმდინარეობის ეტაპზე, სავალდებულო წესით დაინიშნა ადვოკატი ი. პ..

1.4 ადვოკატ ი. ზ-ის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ი. პ. საქმის არსებითი განხილვის სხდომის დროს ჩაერთო საქმეში, მას მაინც შეეძლო შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება და მოწმეების მოძიება. ის ბრალდების მხარის სასარგებლოდ მოქმედებდა და არ დაიცვა საჩივრის ავტორის ინტერესები სათანადოდ. კერძოდ, მან ლ. ა. შეცდომაში შეიყვანა და ხელი მოაწერინა საპროცესო გარიგებას.

1.5 ადვოკატ ი. ზ-ის განცხადებით, ლ. ა.-მ მის საქმესთან დაკავშირებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ ბოლო სხდომაზე, 2016 წლის 17 მარტს, უარი თქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე და განაცხადა ის ფაქტები, რაც მასზე პროკურატურის მხრიდან ზეწოლასა და მუქარის შემთხვევებს უკავშირდებოდა. ი. პ.-მა ამ გარემოებების შესახებ იცოდა, თუმცა მან აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის ნათქვამიდან აზრი ვერ გამოიტანა.

1.6 ადვოკატ ი. ზ-ის განმარტებით, ადვოკატს უნდა სცოდნოდა, რომ ლ. ა. უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. ადვოკატ ი. პ.-ს ბოლო სხდომაზე უნდა ეშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ გადადებულიყო სხდომა, მას არც თვითაცილება განუცხადებია.

1.7 ადვოკატმა ი. პ.-მა 2016 წლის 17 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე მხოლოდ ის განაცხადა, რომ ის სასამართლოს მიერ სავალდებულო წესით იყო დანიშნული მოცემულ საქმეში, რათა ბრალდებულთან გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება.

1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ 2017 წლის 22 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, ის საჩივრის ავტორთან ერთად იმყოფებოდა საკანში 2015 წლის ივნისის თვიდან, სწორედ იმ პერიოდისთვის, როდესაც ადვოკატი ი. პ. იცავდა ლ. ა.-ს.

1.9 ადვოკატ ი. ზ-ის განცხადებით, ლ. ა.-მ საკანში ყოფნის დროს განუცხადა, რომ ის უკანონო პატიმარი იყო და ამის შესახებ ადვოკატ ი. პ.-ისთვის ნათქვამი ჰქონდა. საკანში ყოფნის დროს, ლ. ა.-ს პატიმრებმა შუამდგომლობა დააწერინეს, რომელიც ლ. ა.-მ გადასცა ადვოკატ ი. პ.-ს, თუმცა მან უთხრა თავის კლიენტს, რომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და საპროცესო შეთანხმების გაფორმება ჯობდა, რის შემდგომაც, ლ. ა.-მ საჩივარით მიმართა სახელმწიფო სტრუქტურებს და შემდგომი რეაგირებისთვის აღნიშნული საჩივარი გადაეგზავნა აჭარის პროკურატურას.

1.10 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, პროკურატურის წარმომადგენელი, საგამოძიებო უფროსის მოადგილე შეხვდა ლ. ა.-ს და დაპირდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და გათავისუფლებას, რის სანაცვლოდაც ჩუმად იქნებოდა და შეწყვეტდა საჩივრების დაწერას პოლიციის მიმართ, თუმცა ლ. ა. მოატყუეს.

1.11 2017 წლის 22 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ლ. ა.-მ ნამდვილად მოაწერა ხელი საპროცესო შეთანხმებას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთის თაობაზე, თუმცა ბოლო სასამართლო სხდომაზე, 2016 წლის 17 მარტს პროკურორის შუამდგომლობას - საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ლ. ა. აღარ დათანხმდა და აღნიშნა, რომ ის არ იყო დამნაშავე და მას ციხეში დამამცირებლად ეპყრობოდნენ, თუმცა მოსამართლემ იმის ნაცვლად, რომ ეკითხა აღნიშნულის დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება თუ არსებობდა, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

1.12 2017 წლის 22 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ლ. ა.-ს წარმომადგენლის ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატმა ი. პ.-მა 2016 წლის 17 მარტის სხდომაზე განაცხადა, რომ მან ბუნდოვნად იცოდა ლ. ა.-ს მიმართ განხორციელებული წამებისა და მუქარის ფაქტებთან

დაკავშირებით და აზრი ვერ გამოიტანა კლიენტის ნათქვამიდან, მან ასევე აღნიშნა, რომ საპროცესო გარიგების გაფორმების მიზნით იყო მიწვეული და არ უთხოვია მოსამართლისთვის გადადებულიყო სასამართლო სხდომა.

1.13 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტების მიხედვით, ლ. ა.-მ დაინახა, რომ ი. ზ ესწრებოდა 2016 წლის 17 მარტის სხდომას, რის შემდგომაც მას იმედი მიეცა და ამიტომ თქვა უარი საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, მან იფიქრა, რომ „სამართალი არსებოდა“, მანამდე, ის ვერ ბედავდა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან წამებისა და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით განეცხადებინა, რადგანაც ემუქრებოდნენ. ადვოკატ ი. ზ-ის განცხადებით, აღნიშნული დასტურდება მისი და საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების მიხედვით, აგრეთვე, 2016 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომის ჩანაწერის მიხედვით, რა დროსაც ადვოკატი ი. პ. აცხადებს, რომ მუქარისა და ზეწოლის ფაქტების თაობაზე მან ბუნდოვნად იცოდა, თუმცა ადვოკატი ვალდებული იყო ცოდნოდა ყველაფერი, „ვის შეხვდა და რასთან დაკავშირებით“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ი. პ.-ის 2016 წლის 25 ნოემბრის ზეპირი ახსნა- განმარტების მიხედვით, ის ლ. ა.-ს საქმეში, სავალდებულო დაცვის წესით, საპროცესო გარიგების დადების მიზნით ჩაერთო. საჩივრის ავტორს მისთვის რაიმე შუამდგომლობა არ გადაუცია, ასე რომ ყოფილიყო, შუამდგომლობის შესწორება მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ლ. ა.-ს საქმეში ის მაშინ ჩაერთო, როდესაც არსებითი განხილვის ეტაპი იყო დაწყებული, რის შემდეგაც 8-9 სასამართლო პროცესი ჩატარდა მისი მონაწილეობით, იმ მოტივით რომ საპროცესო გარიგება დადებულიყო.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ლ. ა.-ს ინტერესების დაცვის მიზნით, ორდერი გაიცა 2015 წლის 05 ოქტომბერს და 2015 წლის 25 ოქტომბერს მისი მონაწილეობით ჩატარდა პირველი სასამართლო სხდომა. წინასასამართლო განხილვის სხდომის ჩანაწერებს არ გაცნობილა, თუმცა ადვოკატი ი. პ. გაეცნო საქმის მასალებში არსებულ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, ლ. ა.-ს საქმეში არსებული მტკიცებულებები უდაოდ იყო ცნობილი და ლ. ა.-ს მის მიმართ წარდგენილ ბრალთან მიმართებაში პრეტენზია არ გამოუთქვამს.

2.5 ადვოკატის განცხადებით, 2016 წლის 17 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ბოლო სასამართლო სხდომაზე, მისმა კლიენტმა ლ. ა.-მ მოულოდნელად განაცხადა, რომ არ სურდა საპროცესო გარიგების გაფორმება და ისაუბრა პროკურატურის მხრიდან ზეწოლის შესახებ, რის შემდგომაც, ადვოკატმა მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. ადვოკატის განმარტებით, იმავე სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორის მიმართ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი.

2.6 2017 წლის 22 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატ ი. პ..-ს მიერ წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, მისი მონაწილეობით პირველი სასამართლო სხდომა 2015 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა. ადვოკატი ი. პ.. ესაუბრა პროკურორს საპროცესო შეთანხმების შესაძლებლობაზე და შეთანხმდნენ, რომ დაზარალებულების თანხმობის შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა.

2.7 ადვოკატი ი. პ.. შეხვდა ლ. ა.-ს ციხეში ყოფნის დროს და გამოართვა მისი ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაცია, რადგან შემდგომში დაზარალებულები მოეძიებინათ. ადვოკატის

განცხადებით, საჩივრის ავტორი მასთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ნაკლები სასჯელისთვის სურდათ მიეღწიათ.

2.8 ადვოკატ ი. პ.-ის განცხადებით, ის შეხვდა საჩივრის ავტორის ახლობლებს, იმისათვის, რომ დაზარალებულების ხელწერილები მოეგროვებინათ, რასაც საბოლოოდ, მიაღწიეს კიდეც.

2.9 ადვოკატის მიერ 2017 წლის 22 ივნისს წარმოადგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, საჩივრის ავტორს მასთან მუქარისა და ზეწოლის ფაქტბზე არ უსაუბრია და მხოლოდ ის ახსენა, რომ რამდენჯერმე ერთი განყოფილებიდან მეორეში გადაადგილდა, რის თაობაზეც ადვოკატმა 2016 წლის 17 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზეც აღნიშნა. ადვოკატის განმარტებით, ლ. ა..-ს საქმეში დანაშაული ტერიტორიულად ერთი და იმავე ადგილზე არ იყო მომხდარი, შესაბამისად, ერთი განყოფილებიდან მეორეში გადასვლა დანაშაული არ იყო. ადვოკატის განმარტებით, ის არ ეთანხმება საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პოზიციას, რომ ლ. ა.-მ მას ბუნდოვნად უთხრა წამებისა და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით, რადგან ასეთ რამეს თუ თავისი კლიენტი ეტყოდა, თავისთავად, ეს არ იქნებოდა ბუნდოვანება.

2.10 ადვოკატ ი. პ.-ის განცხადებით, საპროცესო შეთანხმებაზე მიღწევის მიზნით არაერთი სხდომა გადაიდო, ერთ-ერთ პრობლემას მესამე დაზარალებულთან დაკავშირება წარმოადგენდა და საბოლოოდ მისი თანხმობაც მოიპოვეს, რის შემდგომაც 2016 წლის 15 მარტს ადვოკატმა ი. პ..-მ საჩივრის ავტორს გადასცა ყველა ის დოკუმენტი, რაც საპროცესო შეთანხმებას უკავშირდებოდა, რაზეც საჩივრის ავტორმა ხელი მოაწერა.

2.11 ადვოკატ ი. პ.-ის განმარტებით, მან სხდომის გადადება არაერთხელ მოითხოვა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით, ბოლო სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარის თქმის შემდგომ, პროკურორმა ითხოვა სხდომის გადადება, თუმცა მოსამართლემ უარი თქვა სხდომის გადადებაზე და შესაბამისად, ისიც, როგორც ადვოკატი ვეღარ მოითხოვდა სხდომის გადადებას, ამის საფუძველი აღარ არსებობდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2017 წლის 16 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ადვოკატმა არ განახორციელა შესაბამისი მოქმედებები საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვის მიზნით, არ მოახდინა სათანადო რეაგირება პროკურატურის მხრიდან მის კლიენტზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით, არ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე არსებითი განხილვის ბოლო სხდომის გადადების თაობაზე, მაშინ როცა მისმა კლიენტმა, პატიმრობაში მყოფმა ბრალდებულმა სრულიად მოულოდნელად შეცვალა მისი პოზიცია საპროცესო შეთანხმების შესახებ თანხმობაზე უარის გამო, ადვოკატმა არ გაარკვია ამ უარის მიზეზი მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრისას და არ გაუწია შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაცია ბრალდებულს საპროცესო შეთანხმებაზე უარის სამართლებრივ შედეგებზე, რამაც გამოიწვია იმავე სასამართლო სხდომაზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ შესაძლებელია დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 29 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, ლ. ა.-მ წარდგენილ ბრალდებაში ცნო დამნაშავედ თავი, დაადასტურა, რომ მის მიმართ პოლიციის მუშაკების ან სხვა თანამდებობის პირთა მიერ არადამიანურ მოპყრობას, ცემას ან წამებას ადგილი არ ჰქონია და არც საჩივარი ჰქონდა მათ მიმართ. მოცემულ სხდომაზე, საქმეში არსებული მტკიცებულებები უდაოდ იქნა ცნობილი, რის შემდგომაც, ლ. ა.-ს სურვილით განისაზღვრა მისი, როგორც ბრალდებულის მიმართ დამცველის დანიშვნის საკითხი, მასთან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე მოლაპარაკების საფუძვლით.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 29 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერი (09:42- 09:57)

4.2 2015 წლის 29 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებით სასამართლომ დაადგინა: „ბრალდებულ ლ. ა..-ს, მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქ/პუნქტებით, 178-ე ,უხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქ/ქვეპუნქტებით, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე.“

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 29 სექტემბრის საოქმო განჩინება დამცველის დანიშვნის შესახებ; (ს.ფ.101)

4.3 2015 წლის 05 ოქტომბერს ადვოკატი ი. პ.. სავალდებულო დაცვის წესით დაინიშნა ლ. ა..-ს, როგორც ბრალდებულის ინტერესების დამცველად.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს 2015 წლის 05 ოქტომბრის ორდერი; (ს.ფ.100)*
3. *2017 წლის 28 ივლისის აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს წერილი; (ს.ფ.104)*

4.4 2015 წლის 10 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ბრალდების მხარემ უარი განაცხადა ლ. ა..-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, რის შემდგომაც, ადვოკატმა ი. პ..-მა იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, ბრალდებულ ლ. ა..-სთან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე ბრალმდებელ მხარესთან მოლაპარაკების მიზნით და კლიენტთან პოზიციების შეთანხმების მიზნით.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 10 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი (01:54-02:31);

4.5 2015 წლის 17 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ბრალდების მხარემ განაცხადა თანხმობა ბრალდებულ ლ. ა..-სთან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. ადვოკატმა ი. პ..-მა იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, ბრალდებულ ლ. ა..-სთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 17 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული სხდომის აუდიო ჩანაწერი (00:45-01:26)

4.6 2015 წლის 24 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული სხდომა გადაიდო ადვოკატ ი. პ..-ის შუამდგომლობით, საქმეში არსებული მესამე დაზარალებულის მოძიების მიზნით.
განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:
2015 წლის 24 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული სხდომის აუდიო ჩანაწერი (02:32-02:50);

4.7 2015 წლის 17 დეკემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადვოკატმა ი. პ..-მა, როგორც ბრალდებულ ლ. ა..-ს ინტერესების დამცველმა განაცხადა, რომ მესამე დაზარალებულთან დაკავშირება ისევ ვერ ხერხდებოდა და იშუამდგომლა გადადებულიყო სხდომა. სხდომის გადადება იშუამდგომლა ბრალდების მხარემაც. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, თუმცა განაცხადა, რომ შემდგომი სხდომა ამ საქმეზე იქნებოდა საბოლოო და მხარეებს საბოლოო შეთანხმებისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემდგომ სხდომაზე დაამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას ან არსებითი განხილვის გზით, მიიღებდა გამამტყუნებელ ან გამამართლებელ განაჩენს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული 2015 წლის 17 დეკემბრის სხდომის აუდიო ჩანაწერი (00:60-02:60);

4.8 2016 წლის 12 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდებულის სხდომაზე მოყვანა ვერ მოხერხდა საბადრაგო სამსახურის მიერ, რის გამოც სხდომა გადაიდო.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული 2016 წლის 12 იანვრის სხდომის აუდიო ჩანაწერი;

4.9 2016 წლის 28 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ აღნიშნა, რომ ამ საქმეზე სხდომა უკვე ბევრჯერ გადაიდო და მხარეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა მესამე დაზარალებული მოეძიებინათ. მოსამართლემ განუმარტა ლ. ა.-ს, როგორც ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების უპირატესობა, მისი მიუღწევლობის შედეგები და განაცხადა, რომ 2016 წლის 16 თებერვალი იქნებოდა ბოლო სასამართლო სხდომა ამ საქმეზე. მოსამართლემ ჰკითხა ლ. ა.-ს, რაიმე განსხვავებული პოზიცია ხომ არ ჰქონდა საქმის ირგლივ, რაზეც ლ. ა.-მ განაცხადა, რომ არანაირი განსხვავებული პოზიცია არ ჰქონდა.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული 2016 წლის 28 იანვრის სხდომის აუდიო ჩანაწერი (02:56 - 4:14);

4.10 2016 წლის 16 თებერვალს - ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადვოკატმა ი. პ.-მა აღნიშნა, რომ მესამე დაზარალებულთან დაკავშირება მოახერხეს და ვინაიდან, ის საქართველოში არ იმყოფებოდა გარკვეული დრო სჭირდებოდა მისი წერილობითი თანხმობის მოპოვებას, რის შემდგომაც, მოსამართლემ მიმართა ლ. ა.-ს, რომ კიდევ ერთხელ გადაიდებოდა სხდომა და შემდგომ სხდომაზე მიიღებდა გადაწყვეტილებას, ლ. ა.-ს სასამართლოსგან განემარტა, დანაშაულის სიმძიმე და გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, რა შედეგი დადგებოდა, მოსამართლემ დამატებით აღნიშნა, რომ მტკიცებულებები უდაოდ იყო ცნობილი, რის გამოც სრულად გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შანსი მცირე იყო და რომ ამ საქმეზე სასამართლო მომდევნო სხდომაზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებას მიიღებდა 2016 წლის 17 მარტს ჩაინიშნებოდა სხდომა და პროცესი აღარ გადაიდებოდა.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული 2016 წლის 16 თებერვლის სხდომის აუდიო ჩანაწერი (03:56-06:07);

4.11 2016 წლის 17 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ლ. ა., როგორც ბრალდებული არ დაეთანხმა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნა, რომ პროკურატურა ემუქრებოდა და მხოლოდ ამიტომ ეთანხმებოდა საპროცესო შეთანხმებას, „თუ ხმას ამოიღებდა, მის ძმას დაიჭერდნენ...“ რადგან ის მის უდანაშაულობას მაინც ვერ დაამტკიცებდა და ის ადრე ისედაც ნასამართლები იყო.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის სხდომის აუდიო ჩანაწერი (08:14-14:46);

4.12 ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 17 მარტის გამართულ სხდომაზე ადვოკატმა ი. პ.-მა, როგორც ბრალდებულ ლ. ა.-ს დამცველმა აღნიშნა, რომ ის საპროცესო შეთანხმების ეტაპზე ჩაერთო საქმეში და ყველა მტკიცებულება უდაოდ იყო ცნობილი, მისთვის უცნობი იყო ის დეტალები, რაც სასამართლო პროცესზე მისმა კლიენტმა - ლ. ა.-მ აღნიშნა, „ზედაპირულად ცნობილია რომ მისი

გადაადგილება მოხდა, თუმცა რადგან ასე აცხადებს ასე იქნება. აღიარებაც იმისკენ იყო მიმართული, საპროცესო შეთანხმება, რომ ყოფილიყო... არ ვიცი რამ განაპირობა ეს ცვლილება. შესაძლებელია, ზეწოლის გამო მოხდა, დაკავებულია, ციხეშია და ალბათ ამიტომ. მან ახსენა, რომ გაყვანილი ყავდათ სხვადასხვა განყოფილებაში, მაგრამ რაც განაცხადა ესეთი რამე არ უთქვამს...“

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის სხდომის აუდიო ჩანაწერი,(15:00- 18:19);

4.13 2016 წლის 17 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს იმავე სხდომაზე პროკურორმა იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, თუმცა მოსამართლემ პროკურორს მიმართა: „...ჩვენ დასკვნით ეტაპზე ვიყავით და შეგვეძლო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება და თეორიული შანსიც არ არის აპელაციამ შეცვალოს, იმიტომ რომ ბრალდებული არ ეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებს. ამიტომ, უმჯობესი ხომ არ იქნება დავასრულოთ?“ რის შემდგომაც, პროკურორმა აღნიშნა, რომ საქმის განხილვა არ გადადებულიყო. მოსამართლემ დაამთავრა საქმის განხილვა და დაადგინა ლ. ა.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 17 მარტის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი (ს.ფ.21);*
2. *ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის (1-1118-2015) 2016 წლის 17 მარტის აუდიო ჩანაწერი (04:40-05:22);*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. პ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ი. პ.-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.

6.2 ადვოკატის მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელება გულისხმობს, ყველა იმ საჭირო საპროცესო მოქმედების განხორციელების ვალდებულებას, რომელიც კლიენტის ინტერესების დასაცავადაა საჭირო და კანონდმებლობითაა გათვალისწინებული.

6.3 კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის განხორციელება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე. ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით პერიოდულად მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელებისას, სრულად და ჯეროვნად განუმარტოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ინტერესების დაცვასთან.

6.4 მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ორდერითა და 2017 წლის 28 ივლისის აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს წერილით ირკვევა, რომ ადვოკატი ი. პ., სავალდებულო დაცვის წესით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკების მიზნით, საჩივრის ავტორის - ლ. ა.-ს ინტერესებს წარმოადგენდა 2015 წლის 05 ოქტომბრიდან.

6.5 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმება თავისი არსით, არის შეთანხმება ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის, რომელიც მიზნად ისახავს აღიარებითი ჩვენების მიღებას წარსადგენი ან/და წარდგენილი ბრალდების შემსუბუქების სანაცვლოდ. საპროცესო შეთანხმება ბრალდებულს შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილოს იმ სასჯელის რისკი, რომელიც შეიძლება მას საქმის სასამართლო პროცესზე განხილვით შეიძლება დაემუქროს.

6.6 განხილვის კოლეგია მითუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილზე და დამატებით განმარტავს, რომ საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველს. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე, რომლის შეთავაზება შეუძლია, როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. სასჯელზე შეთანხმებისას, ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად განთავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა. ბრალზე შეთანხმებისას კი ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე, რომლის დროსაც პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს, ქმედების მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობის ხარისხს.

6.7 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობის და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

6.8 საპროცესო შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით და მტკიცდება სასამართლოს მიერ, რაც აისახება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ იგი დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე ნებაყოფლობით და რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

6.9 განხილვის კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, ის გარემოება, რომ ადვოკატი ი. პ. აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ, სავალდებულო დაცვის წესით დაინიშნა ლ. ა.-ს ინტერესების დასაცავად მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით, რაც იმას ნიშნავს, რომ აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ, ი. პ.-თვის მინიჭებული უფლებამოსილება ლ. ა.-ს ინტერესების დაცვაში შემოიფარგლებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში მისი წარმომადგენლობით,

რითაც დაცული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ საპროცესო შეთანხმების დადება უნდა განხორციელდეს ადვოკატის უშუალო მონაწილეობით.

6.10 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება ლ. ა.-ს სურვილი იყო, რადგან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მან წარდგენილ ბრალდებაში ცნო დამნაშავედ თავი და საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უდავოდ იქნა ცნობილი, რის შემდგომაც, ლ. ა.-ს სურვილით, განისაზღვრა მისი, როგორც ბრალდებულის მიმართ დამცველის დანიშვნის საკითხი, მასთან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე მოლაპარაკების საფუძვლით, *(2015 წლის 29 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერი (09:42- 09:57))* მას დამატებით მისი ადვოკატისგანაც განემარტა, თუ რატომ იყო საპროცესო შეთანხმება მის მიმართ არსებულ ბრალდებასთან მიმართებაში საუკეთესო გამოსავალი. უფრო მეტიც, 2016 წლის 28 იანვრის სასამართლო სხდომაზე ლ. ა.-ს, როგორც ბრალდებულს მოსამართლემ კიდევ ერთხელ განუმარტა საპროცესო შეთანხმების უპირატესობა და მისი მიუღწევლობის შედეგები. მოსამართლემ ამავე სხდომაზე ჰკითხა ლ. ა.-ს, რაიმე განსხვავებული პოზიცია ხომ არ ჰქონდა საქმის ირგლივ, რაზეც ლ. ა.-მ განაცხადა, რომ არანაირი განსხვავებული პოზიცია არ ჰქონდა, *(ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართული 2016 წლის 28 იანვრის სხდომის აუდიო ჩანაწერი,(02:56 - 4:14)).*

6.11 როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2015 წლის 29 სექტემბერს ლ. ა.-მ წარდგენილ ბრალდებაში ცნო დამნაშავედ თავი, 2015 წლის 05 ოქტომბერს კი ადვოკატი ი. პ. სავალდებულო დაცვის წესით დაინიშნა ლ. ა.-ს, როგორც ბრალდებულის ინტერესების დამცველად. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ლ. ა.-ს მიერ, 2016 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომამდე, არც ადვოკატთან და არც სასამართლო სხდომებზე (გაიმართა ექვსი სხდომა საპროცესო შეთანხმების მისაღწევად) არ ყოფილა გაცხადებული, რომ მას პროკურატურიდან ემუქრებოდნენ და ამიტომ იძულებული იყო დათანხმებოდა საპროცესო შეთანხმებას.

6.12 განხილვის კოლეგია ვერ გაითვალისწინებს საჩივარში წარმოდგენილ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ 2016 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომის ჩანაწერის მიხედვით, „ადვოკატი ი. პ. აცხადებს, რომ მუქარისა და ზეწოლის ფაქტების თაობაზე მან ბუნდოვნად იცოდა“. განხილვის კოლეგია აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 17 მარტის გამართულ სხდომაზე ადვოკატმა ი. პ.-მა, როგორც ბრალდებულ ლ. ა.-ს დამცველმა აღნიშნა, რომ ის საპროცესო შეთანხმების ეტაპზე ჩაერთო საქმეში და ყველა მტკიცებულება უდაოდ იყო ცნობილი, მისთვის უცნობი იყო ის დეტალები, რაც სასამართლო პროცესზე მისმა კლიენტმა - ლ. ა.-მ აღნიშნა, „ზედაპირულად ცნობილია რომ მისი გადაადგილება მოხდა, თუმცა რადგან ასე აცხადებს ასე იქნება. აღიარებაც იმისკენ იყო მიმართული, საპროცესო შეთანხმება, რომ ყოფილიყო... არ ვიცი რამ განაპირობა ეს ცვლილება. შესაძლებელია, ზეწოლის გამო მოხდა, დაკავებულია, ციხეშიადა ალბათ ამიტომ. მან ახსენა, რომ გაყვანილი ყავდათ სხვადასხვა განყოფილებაში, მაგრამ რაც განაცხადა ესეთი რამე არ უთქვამს...“ *(ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის სხდომის აუდიო ჩანაწერი,(15:00-18:19));* განხილვის კოლეგია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატი ი. პ. საქმეში ჩაერთო საპროცესო შეთანხმების გაფორმების ეტაპზე, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უკვე უდაოდ იყო ცნობილი. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორისა და მისი წარმომადგენლის ახსნა-განმარტებების გარდა, საქმეში არ

არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება იმის დასტურად, რომ ადვოკატმა ი. პ.-მა საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვის პერიოდში იცოდა ლ. ა.-ს, როგორც ბრალდებულის მიმართ გამოძიების მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებების თაობაზე, მათ შორის ზეწოლის ან/და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით და ადვოკატმა ამის თაობაზე არ განახორციელა შესაბამისი იურიდიული მოქმედებები კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

6.13 განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ „ადვოკატმა ი. პ.-მა არაკვალიფიციურად გაუწია ლ. ა.-ს იურიდიული მომსახურება, მათ შორის, არ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით, გადადებულიყო სასამართლო სხდომა და შემდგომ, კლიენტისათვის განემარტა საპროცესო შეთანხმების არსი, მაშინ როდესაც მისმა კლიენტმა - ლ. ა.-მ მასზე განხორციელებულ წამებისა და მუქარის შესახებ მოულოდნელად აღნიშნა სასამართლო სხდომაზე“.

6.14 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერებით, დასტურდება, რომ საჩივრის ავტორს წინასასამართლო სხდომაზე განემარტა საპროცესო შეთანხმების არსი და მასზე უარის თქმის შედეგები, საჩივრის ავტორმა, როგორც ბრალდებულმა თავი ცნო დამნაშავედ, უდაოდ ცნო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და გამოხატა საპროცესო შეთანხმების გაფორმების სურვილი, რის შედეგადაც, მას სავალდებულო დაცვის წესით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძვლით, დაენიშნა ადვოკატი *(2015 წლის 29 სექტემბრის საოქმო განჩინება დამცველის დანიშვნის შესახებ; ს.ფ.101, 2016 წლის 16 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმი).* შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორს განმარტებული ჰქონდა და შესაბამისად, ინფორმირებული იყო საპროცესო შეთანხმების არსის და მასზე უარის თქმის შედეგებთან დაკავშირებით.

6.15 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, „სავალდებულო დაცვის ფარგლებში სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ არასრულწლოვანია, თუ არ იცის სისხლის სამართლის საპროცესო ენა, თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას, თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწიებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით, თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ არაიდენტიფიცირებული პირია“. ამრიგად, სავალდებულო დაცვის შემთხვევა ძირითადად არსებობს, როდესაც ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით თავად ვერ შეძლებდა ჯეროვანი დაცვის განხორციელებას, ან/და, როდესაც ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე განაპირობებს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი არ შეიცავას სავალდებულო დაცვის შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს. ზემოაღნიშნული მუხლის „ლ” ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა ბრალდებულისთვის ადვოკატის ყოლა აგრეთვე, როცა ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს. მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, სასამართლოს შეუძლია ბრალდებულს დაუნიშნოს სავალდებულო წესით ადვოკატი, თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ აყვანილი ადვოკატის გამოუცხადებლობა აჭიანურებს

პროცესს, ან ხელს უშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას (სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ადვოკატის მონაწლეობის გარეშე დაცვა სათანადოდ შეიძლება ვერ განხორციელდეს მაგალითად, როდესაც განიხილება რთული სამართლებრივი საკითხები (როგორც პირველი, ისე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში). ასეთ დროს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმის კომპლექსურობა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე დაუნიშნოს ბრალდებულს (მსჯავრდებულს) სავალდებულო წესით ადვოკატი.

6.16 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებიდან და მხარეთა განმარტებებიდან ირკვევა, საჩივრის ავტორს, არც გამოძიების და არც სასამართლო ეტაპზე, სავალდებულო დაცვის ფარგლებში დანიშნული არ ყავდა ადვოკატი. რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი, დანაშაულის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, არ აკმაყოფილებდა კანონით განსაზღვრული სავალდებულო დაცვის კრიტერიუმებს.

6.17 ადვოკატი ი. პ., ლ. ა.-ს ინტერესების დასაცავად, აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ, სავალდებულო დაცვის წესით იქნა დანიშნული საპროცესო შეთანხმების დადებისათვის მოლაპარაკების საწარმოებლად. მას შემდეგ რაც, ვერ შედგა საპროცესო შეთანხმება მხარეებს შორის სავალდებულო დაცვის რეჟიმი ავტომატურად შეწყდა, ვინაიდან აღარ არსებობდა სავალდებულო დაცვის შესაბამისი გარემოებები. (საპროცესო შეთანხმებამდე, არც გამოძიების და არც სასამართლო ეტაპზე, სავალდებულო დაცვის ფარგლებში საჩივრის ავტორს სავალდებულო დაცვის წესით დანიშნული არ ყავდა ადვოკატი).

6.18 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. პ.-ის უფლებამოსილება ლ. ა.-ს ინტერესების დაცვაში შემოიფარგლებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის მიმდინარე პროცესში მისი წარმომადგენლობით. იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის ავტორმა 2016 წლის 17 მარტის სხდომაზე უარი თქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ადვოკატ ი. პ.-ის უფლებამოსილება აღარ ვრცელდებოდა შემდგომ განხორციელებულ თუ განსახორციელებელ საპროცესო მოქმედებებზე.

6.19 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ი. პ.-ის მიერ არ დგინდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუქნტის, მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 33-35 მუხლებით, 37 მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. № 069/15 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ /სიითი N/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: (განსხვავებული აზრი) /სულხან ონიანი/

ეთიკის კომისიის წევრ სულხან ონიანის

გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა ზ რ ი

ეთიკის კომისიის 2017 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები და **მიმაჩნია,** რომ ადვოკატ ი. პ.-ის მიმართ უნდა განისაზღვროს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - **კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.**

- განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 29 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომიდან მოყოლებული 2016 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომამდე გამართულ არცერთ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულ ლ. ა.-ს მიერ არ ყოფილა განცხადებული, რომ მას პროკურატურიდან ემუქრებოდნენ და ამიტომ იძულებული იყო დათანხმებოდა საპროცესო შეთანხმებას (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 6.11).
- განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ ადვოკატმა ი. პ.-მა საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვის პერიოდში იცოდა ლ. ა.-ს, როგორც ბრალდებულის, მიმართ გამოძიების მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებების თაობაზე, მათ შორის, ზეწოლის ან/და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით, და ადვოკატმა ამის თაობაზე არ განახორციელა შესაბამისი იურიდიული მოქმედებები კლიენტის ინტერესების დასაცავად. (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 6.12)
- განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ვერ შედგა საპროცესო შეთანხმება, მხარეებს შორის სავალდებულო დაცვის რეჟიმი ავტომატურად შეწყდა, ვინაიდან აღარ არსებობდა სავალდებულო დაცვის შესაბამისი გარემოებები (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 6.17).
- განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ი. პ.-ის უფლებამოსილება ლ. ა-ს ინტერესების დასაცავად შემოიფარგლებოდა მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის პროცესში წარმომადგენლობით და იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის 17 მარტის სასამართლო სხდომაზე ლ.

ა.-მ უარი თქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ადვოკატ ი. პ.-ის უფლებამოსილება აღარ ვრცელდებოდა შემდგომ განხორციელებულ თუ განსახორციელებელ საპროცესო მოქმედებებზე (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 6.18).

განხილვის კოლეგიის მსჯელობასთან (გადაწყვეტილების პუნქტი 6.11 და პუნქტი 6.12) დაკავშირებით **მიმაჩნია,** რომ იმ ვითარებაში, როდესაც ბრალდებულმა რამდენიმე სასამართლო სხდომაზე განუხრელად და მყარად ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია ბოლო სხდომაზე უეცრად შეცვალა, თანაც, დაასახელა ახალი გარემოებები, რომლებიც პირდაპირ საფუძველს აცლიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საპროცესო შეთანხმების დადება-არდადებასთან დაკავშირებულ აუცილებელ პირობებს, ეს ყოველივე პირდაპირ ავალდებულებდა საპროცესო შეთანხმების დადებისათვის დანიშნულ ადვოკატს, გაერკვია, თავად მისთვისვე მოულოდნელი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ პოზიციის ასეთი მკვეთრი ცვლილება, რომელსაც საქმის შედეგებზეც კი შეიძლება გავლენა მოეხდინა, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ აღნიშნული საკითხი ღიად რჩებოდა. ადვოკატს, უნდა მოეთხოვა, მინიმუმ, შესვენების გამოცხადება მაინც, რათა, შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის უშუალოდ აეხსნა ყველა გარემოება არაიურიდიულ, უბრალო მოქალაქისათვის გასაგებ ენაზე.

რაც შეეხება განხილვის კოლეგიის მსჯელობის იმ ნაწილს, სადაც საუბარია ადვოკატ ი. პ.-ის უფლებამოსილების დასრულების შესახებ ლ. ა.-ს მიერ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის მომენტიდან (გადაწყვეტილების პუნქტი 6.17 და პუნქტი 6.18), **ვერ დავეთანხმები** შემდეგ გარემოებათა გამო:

,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლით რეგლამენტირებულია ადვოკატის ვალდებულებები, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ასევე ის, რომ ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. ხოლო ის, რომ ადვოკატმა ყველა კანონიერი ხერხი უნდა გამოიყენოს და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მოცემულია არა მხოლოდ ზემოხსენებულ კანონში, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლშიც.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი კიდევ უფრო აკონკრეტებს და განავრცობს ადვოკატთა დამოკიდებულებას კლიენტებთან, კერძოდ, კოდექსის მე-4 თავი მთლიანად კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობას ეძღვნება, აღნიშნული დანაწესი სრულ შესაბამისობაშია გაეროს ძირითად პრინციპებთან ადვოკატთა როლის შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ თავიანთი კლიენტის ინტერესებს (იხ. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, § 15).

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.'' ეს დანაწესი ეთიკის კოდექსს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ იმავე მუხლის მე-9 ნაწილში, სადაც საუბარია ჰონორარის გადაუხდელობის გამო ადვოკატის უარის თქმის უფლებაზე, მითითებულია, რომ ამ შემთხვევაშიც კი ადვოკატს უფლება არ აქვს პირდაპირ თქვას უარი მომსახურებაზე და არ გაითვალისწინოს მე-7 ნაწილში მოცემული პირობები.

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (Rec. (2000) 21, პრინციპი III, პუნქტი 4) დადგენილია, რომ ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისგან ნებისმიერი სახით თავის შეკავებამ, თავიდან უნდა აიცილოს კლიენტის ინტერესების ან სხვა პირების, რომელთაც მისი მომსახურება ესაჭიროება, დაზიანება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის დანაწესი სრულ თანხვედრაშია ევროგაერთიანების ადვოკატთა კოდექსის 3.1.4 მუხლთან, სადაც ასევე საუბარია კლიენტის უწყვეტი დაცვის ვალდებულების შესახებ.

ჩვენს შემთხვევაში განხილვის კოლეგიის მსჯელობის ის ნაწილი, სადაც ის ეხება ადვოკატ ი. პ.-ის უფლებამოსილების შეწყვეტას საპროცესო შეთანხმებაზე ლ. ა.-ს უარის თქმისთანავე, - არის უსაფუძვლო, ვინაიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის დანაწესით ი. პ.-ს არ ჰქონდა უფლება, უფლებამოსილება მოეხსნა დაუყოვნებლივ სასამართლო სხდომაზევე და დაცვის უფლების გარეშე დაეტოვებინა ლ. ა. იმ პირობებში, როცა ახალი ადვოკატის აყვანის თეორიული შანსიც კი არ არსებობდა. ი. პ-ის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ასეთ პოზიციას არ აფიქსირებს, მაგრამ რაც შეეხება განხილვის კოლეგიის არგუმენტაციას (გადაწყვეტილების 6.17 და 6.18 პუნქტები), თუ მის ლოგიკას მივყვებით და ადვოკატის მოქმედებას იმით თუ ვამართლებთ, რომ მას შემდეგ, რაც დასაცავმა პირმა სასამართლო სხდომაზე უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე, მან, როგორც ადვოკატმა, თავისი ფუნქცია ამოწურა და ამიტომ შეეძლო აღარ ემოქმედა, მაშინ გამოდის, რომ ადვოკატს დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა, სადაც პირდაპირაა მითითებული - ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით'' ასეთ პირობებში. ,,არ უნდა ისარგებლოს'' - არის კონკრეტული მოთხოვნა და ის ალტერნატივებს არ უშვებს. შესაბამისად, ი. პ.-ის უფლებამოსილება იმ შემთხვევაშიც არ იყო შეწყვეტილი, როცა ლ. ა.-მ უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე და ადვოკატს სწორედ იმ მოტივაციითაც უნდა მოეთხოვა სხდომის გადადება, რომ მის კლიენტს, მინიმუმ, სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით ესარგებლა, რადგან თვითონ მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო იყო დანიშნული.

სულხან ონიანი
კოლეგიის წევრი